



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი:ო87. 8722341001

თარიღი:07/12/2022

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი № 14

ქ. ახმეტა 7 დეკემბერი, 2022 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: იოსები ქარუმაშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ს ხ დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ე ნ ე ნ:

საკრებულოს წევრები: შ.ხოხობაშვილი, გ.ბართიშვილი, გ. ქიბროწაშვილი,

თ.ბორჩაშვილი, ხ.იჩუაიძე, გ.შაშიაშვილი,

კ.მამულაშვილი, ზ.უძილაური, ბ.კაიშვილი,

ე.ბალაკაშვილი, გ.მამუჩარაშვილი,რ.გახუაშვილი,

დ.ავაზაშვილი, გ. ონიაშვილი, ზ. ფიცხელაური,

თ.მოწაიძე, გ. შორთიშვილი, ე. ფეტვიაშვილი,

კ. მუხაური, ფ.შიომღვდლიშვილი, შ. ტერტერაშვილი,

ე. მარკოზაშვილი, ს.ბაბულაიძე.

სხდომა გაიხსნა 12⁰⁰ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, იოსებ ქარუმაშვილმა დამსწრე საკრებულოს წევრებს გააცნო დღის
წესრიგი.

დღის წესრიგი

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტში მდებარე უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ“ ახმეტის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 ნოემბრის N44 განკარგულებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ალბერტი ყაზარაშვილი/

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანის №2 საჯარო სკოლისთვის საქართველოს

ეროვნული გმირის ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - გიორგი მამუჩარაშვილი/

3. ფიზიკური პირის [redacted] საკუთრებაში არსებული, სოფელ ქისტაურში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ 50.10.36.373) შეძენის თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ქისტაურში მდებარე ადმინისტრაციული შენობის ს/კ 50.10.36.031 პირველ სართულზე 32.0 კვ.მ სამუშაო ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით [redacted] გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

5. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ქისტაურში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) ორი ერთეული მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

6. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (სოფლის ამბულატორიის) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

7. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ომალოში (თუშეთი) მდებარე 900 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საკარმიდამო მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მიღებას.

სხდომას ესწრება - 24 საკრებულოს წევრი

მომხრე - 16

მონაწილეობა არ მიიღო - 8 შ. ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, გ. შორთიშვილი, ე. ფეტვიანი, ფ. შიომღვიმელი, გ. მუხაშვილი, ს. ბაბუღიაძე, თ. მოწაიძე.

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტში მდებარე უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 ნოემბრის N44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ალბერტი ყაზარაშვილი/

მომხსენებელმა წარმოადგინა პროექტი.

„ახმეტის მუნიციპალიტეტში მდებარე უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 ნოემბრის №44 განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1.1 განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლებში მდებარე უსახელო ქუჩების არაბული ციფრებით სახელდების შესახებ“.

1.2 განკარგულების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7-მე-8 პუნქტებისა და მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის მე-15-მე-17 პუნქტების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:“.

1.3 განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. განხორციელდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლებში მდებარე სახელწოდების არმქონე ქუჩების სახელდება №1 - 100 დანართის სახით მოცემული სიტუაციური რუკების და დანართი №101-ით განსაზღვრული გეოგრაფიული ობიექტების შესაბამისად, არაბული ციფრების გამოყენებით.“

1.4 განკარგულების მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

1.5 განკარგულების დანართი №48 - „სოფელი კოლოთო“ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

1.6 განკარგულების დანართი №100 („სოფელი გუდაანთა“) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

1.7 განკარგულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის დანართი №101.

2. განკარგულება მიღებიდან 10 დღის ვადაში გაეგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 24 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 17

მონაწილეობა არ მიიღო - 7 შ. ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, გ. შორთიშვილი, ე. ფეტვიაშვილი, თ. მოზაიძე, ფ. შიომღვიმელი, ს. ბაბუღიაძე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება: № 48 „ახმეტის მუნიციპალიტეტში მდებარე უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 ნოემბრის N44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

დანართი თან ერთვის ოქმს.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანის №2 საჯარო სკოლისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მოხსენებელი - გიორგი მამუჩარაშვილი/

მომხსენებელმა წარმოადგინა პროექტი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანის №2 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიეცეს თანხმობა, რომ აღნიშნულ საჯარო სკოლას ეწოდოს საქართველოს ეროვნული გმირის ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 24 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 23

მონაწილეობა არ მიიღო - 1 თ. მოზაიძე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება: № 49 ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანის №2 საჯარო სკოლისთვის საქართველოს ეროვნული

გმირის ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მოისმინეს: ფიზიკური პირის [redacted] საკუთრებაში არსებული, სოფელ ქისტაურში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ 50.10.36.373) შეძენის თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო საკითხი:

მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს ახმეტის მუნიციპალიტეტის სახელით 44000 (ორმოცდაოთხი ათასი) ლარად შეისყიდოს ფ/პ [redacted] საკუთრებაში არსებული, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურში მდებარე შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული 762 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი - 50.10.36.373).

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 24 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 20

მონაწილეობა არ მიიღო - 4 შ. ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, გ. შორთიშვილი, ე. ფეტვიაშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № :50 ფიზიკური პირის [redacted] საკუთრებაში არსებული, სოფელ ქისტაურში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ 50.10.36.373) შეძენის თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ქისტაურში მდებარე ადმინისტრაციული შენობის ს/კ 50.10.36.031 პირველ სართულზე 32.0 კვ.მ სამუშაო ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით ფ/პ [redacted] პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემა, საბუღალტრო წლის ფუნქციონირების თიხით.

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს - განახორციელოს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ქისტაურში მდებარე ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე 32.0 კვ.მ სამუშაო ფართის ფ/პ [redacted] პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემა, საბუღალტრო წლის ფუნქციონირების თიხით.

დამტკიცდეს განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული უძრავი ქონების:

ა) სარგებლობის უფლებით გადაცემის წლიური ქირის საფასური - 352 (სამასორმოდათორმეტი) ლარის ოდენობით;

ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა - 5 წელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 24 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 18

მონაწილეობა არ მიიღო - 6 შ. ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, გ. შორთიშვილი, ე. ფეტვიაშვილი, თ. მოზაიძე, ფ. შიომღვიმელი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № :51 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ქისტაურში მდებარე ადმინისტრაციული შენობის ს/კ 50.10.36.031 პირველ სართულზე 32.0 კვ.მ სამუშაო ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით [redacted] გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ქისტაურში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) ორი ერთეული მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ;

/მომსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომსენებელმა გააცნო პროექტი:

განისაზღვროს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ქისტაურში მდებარე ორი ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორიის მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვის წლიური ქირის საწყისი საფასური:

ა) 7514კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) მიწის ნაკვეთის (ს/კ 50.10.35.217) წლიური ქირის საწყისი საფასური - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით - 511.00 (ხუთას თერთმეტი) ლარის ოდენობით;

- სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 10 (ათი) წელი.

ბ) 3767კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) მიწის ნაკვეთის (ს/კ - 50.10.35.236) წლიური ქირის საწყისი საფასური - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით - 256.00 (ორასორმოცდაათექვსმეტი) ლარის ოდენობით;

- სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 10 (ათი) წელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 24 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 16

მონაწილეობა არ მიიღო - 8 შ. ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, გ. შორთიშვილი, ე. ფეტვიაშვილი, თ. მოზაიძე, ფ. შიომღვიმელი, ს. ბაბუღაიძე, გ. მუხაური.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № 52 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ქისტაურში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) ორი ერთეული მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (სოფლის ამბულატორიის) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

/მომსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომსენებელმა გააცნო პროექტი:

„სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - სოფელ მადრაანში მდებარე ამბულატორიის შენობისა და მასზე დამაგრებული 477კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი - 50.09.32.365) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 24 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 20

მონაწილეობა არ მიიღო - 4 შ. ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, ე. ფეტვიაშვილი, თ. მოზაიძე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № 53 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (სოფლის ამბულატორიის) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ომალოში (თუშეთი) მდებარე 900 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საკარმიდამო მიწის ნაკვეთის

სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

განხორციელდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული **სოფელ ომალოში (თუშეთი) მდებარე 900 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საკარმიდამო მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი - 50.26.33.661)** სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 24 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 24

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № :54 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ომალოში (თუშეთი) მდებარე 900 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საკარმიდამო მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

საკრებულოს სხდომა დაიხურა 12:40 საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

